



საქართველოს

შასი 3 მან.

მოთხარებით, ივლისის 21 1920 წ.

რეკლამები

მთავრობის მოავაგე, უწყველდღიური განცხადება

(ოფიციალური და არაოფიციალური განცხადებებით)

სადარბეველ ოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტრის სტრიტ. 8 მან. 4-ლ გვ. 6 მან. სამკლავი ვანცხ. ჩველებრივი ზომის (15-2) 150 მ., ვანცხ-საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლო. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედუქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-82

1-ლი ქვეითა რაზმი შეეზს

სამწევო ნაწილის კანცე ლარიაში ნამყოფ გამოცდილ მწერალს

ან ყოფილ საქმის მწარმოებელს, პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე 9-2 საათამ დას-რაზმის შტაბში, ქ. ქუთაისში. 761 3-2

ოფიციალური განცხადება

შტატი

1919-1920 წლის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა.

Table with 5 columns: Position, Title, Salary, etc. Categories include 14. აწყურის სატყეო უბანი, 15. ნეძვის სატყეო უბანი, 16. ახალ-ღების სახაზინო აგარაკი, 17. ბაკურიალის სატყეო უბანი, 18. წაღვერის სატყეო უბანი, 19. შავი წყლის სატყეო უბანი, 20. თორის სატყეო უბანი, 21. სურამის სატყეო უბანი.

დეკრეტი

ხეცყვისაგან დაზარალებულ მცხოვრებ-თათვის სათესლე სიმინდის შესაძენათ 10.000.000 მან. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინი-დან მიწათმოქმედების მინისტრის განკარგუ-ლებისათვის ათი მილიონი (10.000.000) მან. სათესლე სიმინდის შესაძენათ და სეტყვისა-გან დაზარალებულ მცხოვრებთათვის მისაწო-ლებლად. 2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღების დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. ივლისის 9-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიია.

დეკრეტი

უცხოეთიდან შემოსატანი კონიაკის სპარტისათვის საბაჟო ტარიფის შეც-ვლისა.

1. უცხოეთიდან შემოსატანი კონიაკის სპარტისათვის საბაჟო გადასახადი ოთხასი (400) მანეთი (დეკრ. 1920 წ. თებერვლის 24-სა სტ. 27, მუხ. 1) შეიცვალოს ორმოცდა ათ (50) მანეთად. 2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღების დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. ივლისის 9-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე რესპუბ. მთავრობის თავმჯდ. ნ. ჟორდანიია.

დეკრეტი

საბაჟო-ალრიცხვის დამატებად თათ-ხმეტი მილიონი ასორმოცდაოთხრამეტი სამას ოცდა ერთი მან. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან გზათა მინისტრის განკარგულებისათვის თო-თხმეტი მილიონი ას ორმოცდა თერთმეტი ათას სამას ოცდა ერთი (14.151.321) მანეთი ტყებულის მალაროების 1919-1920 წ. ხარჯთ აღრიცხვის დამატებად, შემდეგი განაწილე-ბით: ა) გზათა უწყების ხარჯთ-აღრიცხვის § 24, მუხ. 2-ს დამატებად სამი მილიონი ცხრა-ასი ათასი (3.900.000) მან., ბ) § 24, მუხ. 5-ს დამატებად ოთხას ერთი ათას სამას ოცდა ერთი (401.321) მანეთი და გ) § 24, მუხ. 1-ს დამატებად ცხრა მილიონი რვაას ორ-მოცდა ათი ათასი (9.850.000) მან. 2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მი-ღების დამფუძნებელი კრების მიერ. 1920 წ. ივლისის 9-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდო-მარის უფროსი ამხ. ალ. ლომთათიძე რესპუბლიკის მთავრობის თავ-მჯდომარე ნ. ჟორდანიია.

დადგენილება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-ლიკის მთავრობის თავმჯდომარისა. განვიხილვე რა მთელი რიგი საჩივრებისა ბინების რეკვიზიციის შესახებ დაავრწმუნდი, რომ ამა წლის თებერვლის 14-ის თარიღით № 469 ტფილისის ქალაქის მოურავისათვის ჩემ მიერ მიცემული ინსტრუქცია არა თუ სრულდება, პირიქით—მოქალაქეთა ბინები-დან გადასახლება ძველებურად ხდება დასა-ხელებულ ინსტრუქციის აშკარა დარღვევით; ამასთანავე, მოქმედებას განაგრძობს ქალაქის საბინაო განყოფილება, რომლის მოქმედება უნდა შეჩერებული იყოს ჩემი ამა წლის თე-ბერვლის 11-ის თარიღით № 410 ქალაქის გამგეობისათვის გაგზავნილ მიწერილობის თანახმად. ყველა შემადინიშნულის გამო დავადგინე:

1) ქალაქის საბინაო განყოფილების მოქმე-დება დაუყოვნებლივ შეჩერებულ იქნას. 2) აღნიშნულ განყოფილების საქმეები, რომელიც ამ ეტაპად წარმოებაშია—აღინქსოს და წარმოებით შეჩერდეს. 3) დავალოს ქალაქის თვითმართველობას სისწორით აასრულოს ჩემ მიერ მიცემული ამა წლის 14-ის თარიღით № 469 ინსტრუქ-ცია. მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიია.

არაოფიციალური განცხადება

დამფუძნებელ კრებაში

ახალი საადმინისტრაციო ერთეულები. დამფუძნებელი კრების თვითმართველობის კომისიამ ერობათა კავშირის გასაცნობად და თავის დასკვნის გამოსატანად წარუგზავნა რესპუბლიკის ტერიტორიის ახალ ადმინის-ტრატულ ერთეულებად დაყოფის პროექტი. პროექტთან თანდართულია ვრცელი მოხსენება და სტატისტიკური ნუსხა, რომელიც ახალ და ძველ ადმინისტრატულ ერთეულების ეთნოგრაფიულ შემადგენლობას ეხება. ახალ საადმინისტრაციო დაყოფას სა-ფუძვლად დაედო არსებულ მაზრათა საზ-ღვრები. განმარტებით ბარათში ხაზგასმულია, რომ მაზრების საზღვრები ას წლობით იქმნე-ბოდა, და სრულიად შეეფერება საქართვე-ლოს ბუნებრივ დაყოფას, ამიტომ თვითმარ-თველობის აზრით არსებულ ადმინისტრატო-ულ დაყოფაში რადიკალურ ცვლილებების შე-ტანა სამოქალაქო ცხოვრების დარღვევას გა-მოიწვევს და გეოგრაფიულ მთლიანობას და-არღვევს. ცვლილებანი, ადმინისტრატულ დაყოფაში, ისეთ ფარგლებში უნდა გატარ-დეს, და იმდენად უნდა გატარდეს, რამდენ-ად ამას ერობის თვითმართველობის უკეთე-თის მოწყობა მოითხოვს და რამდენადც იგი მცხოვრებთა ეკონომიურ კეთილდღეობას განამტკიცებს და ხელს შეუწყობს. ამ დღე-ებში აღნიშნულ პროექტის განსახილველად შესდგება თვითმართველობის კომისიის სხლო-მები.

კანონ-პროექტი შრომის ხელშეკრუ-ლობის შესახებ.

დამფ. კრების შრომის კომისიიდან შემო-ვიდა კანონ-პროექტი შრომის ხელშეკრულო-ბის შესახებ.

დეგეზა სამურზაყანოდან.

დამფ. კრებამ სამურზაყანოს მაზრის საზო-გადოების მასწავლებელთა ყროლობისაგან ბათომის და ბათომის ოლქის შემოერთების გამო მისალოცი დეგეზა მიიღო.

სკოლების ორგანიზაციის ხაკითხი.

მიწად-მოქმედების სამინისტრომ დამფ. კრების პლენუმში განსახილველად წარად-გინა დამატებითი მოხსენება დაბალ და სა-შუალო სასოფლო სამეურნეო სკოლების ორ-განიზაციის შესახებ.

საპენსიო წესდება.

დამფ. კრების სამხედრო კომისიამ შეიმუ-შავა და დამფ. კრების პრეზიდიუმს პლენუმ-ში წარსადგენად წარუდგინა დეკრეტი დაქ-რილ დასახიჩრებულ და დაღუპულ მეთომართა ოჯახების საპენსიო წესდების შემუშავების დაჩქარების შესახებ.

კანონ-პროექტი მიწის მზომელთა მო-ბილიზაციის შესახებ.

დამფ. კრების საავტარო კომისიამ შეიმუ-შავა და დამფ. კრების პრეზიდიუმს პლენუმ-ში წარსადგენად გადასცა კანონ-პროექტი მიწის მზომელთა მობილიზაციის შესახებ.

შინაგან საქ. სამინისტროში

გადახახალი მიწაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა სა-მაზრო საეროპო თვითმართველობას მიმართა ცირკულარით, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ თანახმად ფინანსთა სამინისტროდან მი-

1920 წ. ივლისის 7-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიია.





